თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4048805

ნომერი: AR1609740

თარიღი : 19.06.2018

გაცემის თარიღი : 03.07.2018

გაცნობის თარიღი : 03.07.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ახალი ხეივნის ქუჩა N12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა გვილავა პ/ნ 01019006564
- თბილისი დ.ჭიჭინაძის ქ. N 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 14 სექტემბრის №2185510 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 19 ივნისის №AR1609740 განცხადებით მომართა მამუკა გვილავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 14

სექტემბრის №2185510 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2015 წლის 14 სექტემბრის №2185510 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ახალი ხეივნის ქუჩა N12, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.18.05.008.194), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2015 წლის 14 სექტემბრის №2185510 ბრძანებაში, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების სტადიაზე, საზაფხულო ფართის მაჩვენებელი შეცდომით იქნა დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე განმცხადებელი ითხოვს 2015 წლის 14 სექტემბრის №2185510 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას და საზაფხულო ფართის მაჩვენებლის - 213.16 კვ.მ-ის ნაცვლად - 366.72 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ასევე, წარმოდგენილია შესაბამისი გეგმები.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ არ არსებობს 2015 წლის 14 სექტემბრის №2185510 ბრძანებაში ცვლილების შეტანის სამართლებრივი საფუძველი. ვინაიდან, შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში, +18,54 ნიშნულზე შეთანხმებულ გეგმაზე, არ არის დაფიქსირებული საზაფხულო ფართი და არც პირიქით, საზაფხულო ფართში არ არის ნაანგარიშები აღნიშნულ ნიშნულზე ფართი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2015 წლის 14 სექტემბრის №2185510 ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.